ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საჭესთან ფხიზლად!

პროექტი ხორციელდება
საქართველოს პირველი ლედის
სანდრა ელისაბედ რულოვსის
ჯანსაღი ცხოვრების წესის ინიციატივის
**"DON'T WORRY, BE HEALTHY!"** ფარგლებში

პირველი ავტოავარია, 1891 წლის ოჰაიოს შტატის ქალაქ ოჰაიოში მოხდა: ჯონ უილიამ ლამბერტი თავისივე დაპატენტებული ერთცილინდრიანი (ბენზინზე მომუშავე) მანქანით ხის ფესვს წამოედო, მართვა დაკარგა და ბოძს შეეჯახა.

მსოფლიოს გზებზე ყოველწლიურად 1.3 მილიონი ადამიანი იღუპება ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად, ხოლო 20-დან 50 მილიონამდე სხვადასხვა სიმძიმის ტრავმას იღებს.

15-დან 44 წლამდე ასაკის ადამიანებში, უბედური შემთხვევების რაოდენობის მიხედვით, ავტოსაგზაო შემთხვევები დღესაც პირველ ადგილზეა.

ავტოკატასტროფების 93% მთლიანად ან ნაწილობრივ მძღოლის შეცდომით და სხვა ადამიანური ფაქტორებით არის გამოწვეული.

ალკოჰოლური თრობის დროს საჭის მართვა საგრძნობლად ზრდის ისეთი შეჯახების ალბათობას, რომელიც სიკვდილს ან მძიმე ტრავმას იწვევს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ ზრდასრული მძღოლებისთვის სისხლში ალკოჰოლის მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციად 0.05გ/დლ-ს მიიჩნევა, საქართველოში ეს ზღვარი 0.02 გ/დლ-მდეა დასაშვები.

## მხოლოდ ციფრები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

2012 წლის იანვარ–დეკემბრის თვეში საქართველოში რეგისტრირებული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების მონაცემები:

სულ რეგისტრირებულია - 5359 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა - 605, დაშავდა - 7734 ადამიანი.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიაზე:

სიმთვრალით - 256 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა - 22, დაშავდა - 398 ადამიანი

სიჩქარის გადაჭარბებით - 1507 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა - 159, დაშავდა - 2094 ადამიანი.

სულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების დროს ფეხით მოსიარულე დაიღუპა - 160, ხოლო დაშავდა - 1509.

საქართველოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა რაოდენობა 2012 წლის 12 თვეში: ნასვამობით - 33328, სიჩქარის გადაჭარბებით - 16171.

## დასკვნა

უამრავი ადამიანის გადარჩენა მხოლოდ რამდენიმე მარტივი გადაწყვეტილებით შეიძლება: ჩვევად ვაქციოთ რომ არ მივუჯდეთ ნასვამი საჭეს, რადგან:

- ალკოჰოლური ზემოქმედების დროს, ორგანიზმში ფერხდება იმპულსების გატარების სიჩქარე, ადამიანში მატულობს სითამამე, გარისკვის სურვილი, ყურადღების გაფანტვა, ყველაფერი ეს კი კომპლექსურად მოქმედებს და ადამიანი საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ, ასევე სხვების სიცოცხლეს.

პატრულს შეიძლება 1-2 და უფრო მეტჯერ გადავურჩეთ მაგრამ,უბედურ შემთხვევას წინ ვერაფერი დაუდგება!



ეროვნული ბიბლიოთეკა